



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ნიკოლოზ ფარჯანაძე, ავილირებული პროფესორი, დოქტორი მობილური ტელეფონი: +995 558 902 185 ოფისის ტელეფონი: +995 322 59 00 05 (შიდა 137) ელ-ფოსტა: nparjanadze@ibsu.edu.ge nickparjanadze@yahoo.com
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმადლესი განათლების I საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში / Bachelor of Humanities in Philology
დაშვების წინაპირობები	საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. პროგრამაზე ჩარიცხვისას ინგლისური ენის ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეესაბამებოდეს B1 (ევრო-კავშირი სტანდარტების მიხედვით) დონეს.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა და სათანადო კვალიფიკაცია ინგლისური ფილოლოგიის სფეროში, რაც მათ მომავალში დაეხმარება პროფესიული კარიერის ფორმირებაში. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა მოვამზადოთ ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს მათ წარმატებით დასაქმებას როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. პროგრამა მიზნად ისახავს კონკრეტული შედეგების მიღწევას: სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის განვითარება (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა) B2 დონეზე (ევროპული სტანდარტების (CEFR) შესაბამისად), რაც მიიღწევა პირველი კურსის პრაქტიკული კურსებისა და მოგვიანებით, სპეციალობის სავალდებულო თუ არჩევითი კურსების მეშვეობით. ანალიტიკური და პრაგმატული (ტექსტის ანალიზი, ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის ფუნქციური და პრაგმატული ასპექტები, ლიტერატურული კრიტიკა და ანალიზი, მულტიკულტურულ გარემოში კომუნიკაცია და დასაქმება) უნარ-ჩვევების ფორმირება, რაც მოიცავს შესაბამისი ინგლისური ლექსიკისა და გრამატიკული

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სტრუქტურების პრაგმატულ ცოდნასა და ლინგვისტური (ენათმეცნიერებისა და ენის შესწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხების, სპეციფიური ტერმინოლოგიისა და კომუნიკაციაში შემავალი პრაქტიკული ენობრივი ასპექტების ცოდნა) კომპეტენციის განვითარებას. მეორე კურსიდან სტუდენტები იღებენ ფილოლოგიის დარგში ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და ზოგად უნარებს შემდეგი მიმართულებით: ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერება, ლექსიკოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები ინგლისური ფილოლოგიისათვის, ბრიტანეთის ისტორია და მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობები.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური. შესაბამისად, ყველა შემოთავაზებული კურსი ხელს უწყობს ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ფორმირებასა და განვითარებას. ამას გარდა, თითქმის ყველა კურსის მსვლელობისას სტუდენტს უხდება ინტერნეტით მასალის მოძიება, ნაშრომებისა და პროექტების ბეჭდვა, Power Point პრეზენტაციების მომზადება. მათ ასევე უყალიბდებათ არა-ვერბალური (აუდიო-ვიზუალური) კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.</p> <p>რადგანაც ფილოლოგია არის ინტერ-დისციპლინარული და მრავალფეროვანი სფერო, პროგრამაში შემოთავაზებული კურსები ხელს უწყობენ სხვადასხვა კომპეტენციის განვითარებას.</p> <p>პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი შემდეგ კომპეტენციებს შეიძენს:</p> <p>კომპეტენციების შესაბამისად მისაღწევი შედეგები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის (მისი ცალკეული ასპექტები - ლექსიკა, გრამატიკა, წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნა, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით (CEFR) შეესაბამება B2 დონეს; • ინგლისური ენის გრამატიკის ცოდნა B2 დონეზე (CEFR-ის სტანდარტების მიხედვით); • ინგლისური ენის გრამატიკული სტრუქტურების ცოდნა; ასევე, ცოდნა, თუ როგორ ფუნქციონირებენ ეს სტრუქტურების სხვადასხვა შინაარსის გამოხატვის კუთხით; • ინგლისური ფონოლოგიისა და ფონეტიკის სპეციფიკის ცოდნა; • ინგლისური ენის, მისი განვითარების, სტრუქტურებისა და ინგლისური ენის გეოგრაფიის (მისი გავრცელების არეალის) სპეციფიკის ცოდნა; • ანგლო-ამერიკული ენათმეცნიერების საბაზისო ცნებების ცოდნა;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სპეციფიკის ცოდნა; • ინგლისური ლიტერატურის, მისი განვითარებისა და მიმდინარეობების სპეციფიკის ცოდნა; • მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა; • ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ქვეყნების ლიტერატურის ცოდნა (ცნობილი ავტორების ბიოგრაფიები და ცნობილი ნაწარმოებების შინაარსები, ძირითადი მიმდინარეობები); • დიდი ბრიტანეთის კულტურისა და ისტორიის ცოდნა; • კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების საბაზისო ცოდნა, რაც აუცილებელია ინგლისურ ფილოლოგიაში მცირე მასშტაბის კვლევის ჩასატარებლად; • აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების ცოდნა; • ინგლისურ ფილოლოგიაში მცირე მასშტაბის კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ცოდნა; • APA-ს ციტირება-რეფერირების პრინციპების ცოდნა; • საკომუნიკაციო ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაზისო ინსტრუმენტებისა და პლატფორმების (ინტერნეტი, Microsoft Word, PowerPoint პრეზენტაცია, EndNote და Zotero (ციტირება-რეფერირებისათვის განკუთვნილი პროგრამები) ცოდნა, რაც აუცილებელია სწავლის, ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და დამუშავების პროცესში. <p>ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლებისა და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და მათი კრიტიკულად გაცნობიერება; • სკოლაში ინგლისური ენის სწავლების მიზნებისა და ამოცანების ცოდნა-გაცნობიერება; • განსხვავებული გონებრივი შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლების ძირითადი პრინციპების ცოდნა-გაცნობიერება; • სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების ცოდნა-გაცნობიერება; • მოსწავლეთა სამართლიანად და ობიექტურად შეფასების მოდელებისა და სისტემების შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა; • ინგლისურ ენაზე წერილობით თუ ზეპირსიტყვიერად აზრის გადმოცემის სპეციფიკის ცოდნა, რომლის გამომუშავებაც ხელს უწყობს პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსები.
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ლინგვო-კულტურული კომპეტენცია, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით (CEFR) შეესაბამება B2 დონეს და გულისხმობს ზოგად თუ სპეციფიურ კონტექსტში ინგლისური წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი ენის გამოყენების უნარს; სტუდენტის უნარი უმთავრესად თავი გაართვას რთულ წერილობით ტექსტს ან დისკურსს, რომელიც ეხება როგორც ზოგად თემებს, ასევე დარგის სპეციფიურ საკითხებს;
- ინგლისური ენის სტრუქტურული თავისებურებების ცოდნის პრაქტიკულად რეალიზების უნარი - სტრუქტურულად გამართული წინადადებების მეშვეობით ლოგიკური ნარატივისა და დისკურსის ფორმირების უნარი;
- ინგლისური ენის სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით სტილისტურად თუ სტრუქტურულად გამართული თარგმანის შესრულების უნარი;
- პროფესიული (ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, განათლების სფეროს) ტერმინოლოგიისა და ცნებების ვერბალურ დისკურსში, პრეზენტაციებსა და აკადემიურ კონტექსტში კომუნიკაციისას სათანადოდ გამოყენების უნარი;
- ანგლო-ამერიკული ლიტერატურული ნაწარმოებების კრიტიკული ანალიზის უნარი ლიტერატურათმცოდნეობისა და სტილისტური ანალიზის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- საბაკალავრო სადიპლომო ნაშრომის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური მოთხოვნების (რომელიც ეფუძნება APA სტილს) შესაბამისად დაწერის უნარი;
- საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ინფორმაციის მოძიების, ნაშრომზე მუშაობის სტრატეგიის შემუშავების, ონლაინ პლატფორმების და საძიებო სიტემების (Survey Monkey, Google, Google Scholar, EBSCO, ERIC, Google Books), კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word, PowerPoint და ა.შ.) ეფექტურად და მიზნობრივად გამოყენების უნარი;
- ინგლისური ფილოლოგიის (ენათმეცნიერება, ანგლო-ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა და ბრიტანული კულტურა) სფეროდან შერჩეულ აქტუალურ და საინტერესო თემატიკაზე საკონფერენციო მოხსენების მომზადების უნარი.

ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:

- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის გამოყენების უნარი;
- სამართლიანი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნის უნარი;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისა და სასწავლო პროცესის მართვის მიზნით სწავლისა და განვითარების თეორიების ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრისა და მათზე რეაგირების უნარი; • მოსწავლეთა მოტივირების უნარი; • პროფესიული (განათლების სფეროსა და ინგლისური ენის) ტერმინოლოგიისა და ცნებების ვერბალურ დისკურსში, პრეზენტაციებსა და აკადემიურ კონტექსტში კომუნიკაციისას სათანადოდ გამოყენების უნარი. <p>დასკვნის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი; • საკუთარი მოსაზრების შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით არგუმენტირების უნარი; • ანალიტიკური უნარი, რაც გამოიხატება ტექსტის, ენობრივი და კომუნიკაციური კონტექსტის ანალიზის უნარში; • თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი; • სხვათა მოსაზრებისა და არგუმენტების შეფასებისა და ამ შეფასებაზე დაყრდნობით საკუთარი პოზიციის ფორმირების უნარი; • ინგლისური წერილობითი თუ ზეპირი ტექსტისა თუ დისკურსის ანალიზისა და სტილის, შინაარსისა თუ არაპირდაპირ გამოხატული აზრის გაგება-გააზრების უნარი; • ლიტერატურული ტექსტის სტილისტური ანალიზისა და ამ ტექსტში გადმოცემული შინაარსის ანალიზის უნარი. <p>ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი პრაქტიკის კვლევის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოყალიბების უნარი; • პროფესიული კონტექსტისა და სიტუაციების ანალიზის, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტისა და გონივრული დასკვნების გაკეთების უნარი; • სწავლა-სწავლების თეორიების ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი; • შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით საკუთარი მოსაზრების არგუმენტირების უნარი; • სასწავლო გეგმების ანალიზისა და შეფასების უნარი; • სწავლა-სწავლების შეფასებისა და ანალიზის უნარი; • თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი; • სხვათა მოსაზრებისა და არგუმენტების შეფასებისა და ამ შეფასებაზე დაყრდნობით საკუთარი პოზიციის ფორმირების უნარი. <p>კომუნიკაციის უნარი:</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> ფართო აუდიტორიის წინაშე საკუთარი აზრის გამოხატვისა და დასაბუთების, ლოგიკური მსჯელობის უნარი; ინფორმაციის, მოსაზრებებისა და დასკვნების სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი; ინფორმაციის გადაცემისას (პრეზენტაციები, მოხსენებები, პროექტისა თუ კვლევის შედეგების გაცნობა) თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარი; წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი, ფორმალურ (მაგ. ანგარიში, მოხსენება) თუ არაფორმალურ კონტექსტში აზრის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი; სტუდენტური კონფერენციებისათვის მოხსენების საზოგადოებისათვის წარდგენის უნარი; <p>ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ინგლისურ და ქართულ ენებზე, წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი ფორმით, ფორმალურ (მაგ. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კოლეგებთან თუ განათლების სპეციალისტებთან კომუნიკაცია) თუ არაფორმალურ კონტექსტში (მშობლებთან, მასწავლებლებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან თუ სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაცია) აზრის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი <p>სწავლის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> სწავლის პროცესის ეფექტურად დაგეგმვის უნარი; სასწავლო მასალების მოძიებისა (ინტერნეტი, ბიბლიოთეკა, და ა.შ.) და დროის რაციონალურად გადანაწილების უნარი; სწავლის პროცესის შექმნილი გარემოებების შესაბამისად ორგანიზების უნარი; აკადემიურ პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, რაც აუცილებელია ინფორმაციის სხვადასხვა ელექტრონული წყაროდან მოპოვებისას - ინტერნეტი და აკადემიური მონაცემთა ბაზები, როგორცაა ERIC, EBSCO, Google Scholar; მასალის დამახსოვრების სტრატეგიების შემუშავების უნარი; ერთ- და ორ-ენოვანი ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევა; ჯგუფურად და ინდივიდუალურად ინფორმაციაზე მუშაობისა და შემეცნება-შეთვისების უნარი; უწყვეტი (მთელი ცხოვრების მანძილზე) განათლების არსის გააზრებისა და მისი საკუთარი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დაგეგმვის უნარი. <p>ღირებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> ახალი, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მოპოვებისაკენ მისწრაფება; აკადემიური პატიოსნება;
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეთიკური და მორალური ღირებულებების პატივისცემა; • ზოგად-საკაცობრიო ადამიანური ღირებულებების პატივისცემა; • განათლების სფეროს მორალისა და ეთიკის პატივისცემა; • პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობის გააზრება; • ტოლერანტობა და განსხვავებული კულტურისა და ქცევის ნორმების პატივისცემა. <p>ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • მასწავლებლის პროფესიული ეთიკისა და კოდექსის შესაბამისად მოქმედება; განათლების სფეროს მორალისა და ეთიკის პატივისცემა.
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში; ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>დაწყებითი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი (სერტიფიცირების შემდეგ), თარჯიმანი, საოფისე მუშაკი (რომლის საქმიანობაც მოითხოვს უცხო ენის ცოდნას)</p>